

შპს „კუბიქსი“
ფინანსური ანგარიშგება
2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით



ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	3
სრული შემოსავლის ანგარიშგება	4
კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება	5
1. შესავალი	6
2. კომპანიის საოპერაციო გარემო	6
3. მომზადების საფუძვლები და სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები	7
4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო მსჯელობები, დაშვებები და შეფასებები	10
5. სააღრიცხვო პოლიტიკის ცვლილება	11
6. ძირითადი საშუალებები	12
7. მარაგები	13
8. სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	13
9. ფული და ფულთან გათანაბრებული ინსტრუმენტები	13
10. სესხები	13
11. სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	13
12. ამონაგები	14
13. თვითღირებულების ხარჯი	14
14. ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	14
15. მიწოდების დანახარჯები	14
16. ფინანსური ხარჯი	14
17. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები	14
18. დაკავშირებულ მხარეთა ოპერაციები	14
19. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება	15

შპს „კუბიქსი“
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული
წლისთვის

ფინანსური მდგომარეობის უწყისი

		12/31/2024	1/1/2024	1/1/2023
აქტივები				
გრძელვადიანი აქტივები				
ძირითადი საშუალებები	3	21	72	2.311
		21	72	2.311
მოკლევადიანი აქტივები				
ფული და ფულთან გათანაბრებული ინსტრუმენტები	6	1963	50.640	15.000
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	7	50.676.863	41.575.473	23.789.354
მარაგები	8	13.571.864	11.249.115	9.016.808
სხვა მოკლევადიანი აქტივები		4.879.680	3.813.430	2176.411
		69.130.391	56.688.658	34.997.573
მთლიანი აქტივები		69.130.391	56.688.730	34.999.884
მთლიანი კაპიტალი				
საწესდებო კაპიტალი		0	0	0
გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)		11.893.219	7.104.969	5.155.830
		11.893.219	7.104.969	5.155.830
ვალდებულებები				
გრძელვადიანი ვალდებულებები		-		
გრძელვადიანი სესხები	10	0	0	0
		0	0	0
მოკლევადიანი ვალდებულებები				
მოკლევადიანი სესხები	10	-	-	-
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	13	57.237.172	49.583.761	29.844.054
		57.237.172	49.583.761	29.844.054
მთლიანი ვალდებულებები		57.237.172	49.583.761	29.844.054
მთლიანი კაპიტალი & ვალდებულებები		69.130.391	56.688.730	34.999.884

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია
2025 წლის 29 სექტემბერს შემდეგი პირის მიერ.

დირექტორი



ალექსანდრე მაისურაძე

6-15 გვერდებზე წარმოდგენილი შენიშვნები ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია

შპს „კუბიქსი“
 სრული შემოსავლის ანგარიშგება
 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
 (ლარში)

მოგება - ზარალის ანგარიშგება

		12/31/2024	1/1/2024
ამონაკები	16	12.584.666	12.291.396
თვითღირებულება		(7.620.898)	(10.203.139)
საერთო მოგება		4.963.768	2.088.257
ზოგადი & ადმინისტრაციული ხარჯი		(162.381)	(139.943)
მიწოდების დანახარჯები		-	-
სხვა შემოსულობები/(ზარალი) - წმინდა	18	1.327	825
მთლიანი სრული		4.802.714	1.949.139
შემოსავალი/(ზარალი)			
საკუთარი კაპიტალის ანგარიშგებო	20	7.104.969	5.155.830
პერიოდის დასაწყისში			
სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ		-	-
მოგებაში		(14464)	
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო		11.893.219	7.104.969
პერიოდის ბოლოს			

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია
 2025 წლის 29 სექტემბერს შემდეგი პირის მიერ.

დირექტორი



ალექსანდრე მაისურაძე

6-15 გვერდებზე წარმოდგენილი შენიშვნები ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია

შპს „კუბიქსი“
 კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება
 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
 (ლარში)

	საწესდებო კაპიტალი	გადაფასების რეზერვი	გაუნაწილებელი მოგება	მთლიანი კაპიტალი
2024 წლის 1 იანვარი	-	-	7.104.969	7.104.969
წმინდა მოგება	-	-	4.802.714	4.802.714
სხვა სრული შემოსავალი	-	-	(14.464)	(14.464)
პერიოდის სრული შემოსავალი	-	-	-	-
გაცემული დივიდენდი	-	-	-	-
საწესდებო კაპიტალის ზრდა	-	-	-	-
2024 წლის 31 დეკემბერი	-	-	11.893.219	11.893.219

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია
 2025 წლის 29 სექტემბერს შემდეგი პირის მიერ.

დირექტორი

ა. მუსილაძე



ალექსანდრე მაისურაძე

6-15 გვერდებზე წარმოდგენილი შენიშვნები ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია

შპს „კუბიქსი“ ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

1. შესავალი

კომპანია და მისი საქმიანობა

შპს „კუბიქსი“ (შემდგომში „კომპანია“) დაარსდა და დარეგისტრირდა საგადასახადო ორგანოში 2020 წლის 21 მაისს. ფინანსური ანგარიშგების წარდგენის თარიღისთვის, ფიზიკური პირი, ალექსანდრე მაისურაძე წარმოადგენს კომპანიის 100%-იანი წილის მფლობელს.

კომპანიის ძირითადი საქმიანობას წარმოადგენს საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი შენობების მშენებლობა. კომპანიის სათაო ოფისი მდებარეობს თბილისში.

კომპანიის იურიდიული მისამართია საქართველო, თბილისი, საბურთალოს რაიონი, არჩილ ცაგარელის ქუჩა, N 26.

წარმოდგენილი ანგარიშის ვალუტა

კომპანიის ფუნქციონალურ ვალუტას წარმოადგენს საქართველოს ეროვნული ვალუტა - ქართული ლარი (GEL). ოპერაციები უცხოურ ვალუტაში, თავდაპირველად ჩაიწერება ფუნქციონალურ ვალუტაში ოპერაციის დღისთვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ განსაზღვრული კურსით. ანგარიშის პერიოდისთვის უცხოურ ვალუტაში არსებული ფულადი აქტივები გადაიყვანება ფუნქციონალურ ვალუტაში საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი წლის ბოლოს არსებული კურსით. ანგარიშსწორებისას წარმოქმნილი ყველა საკურსო სხვაობა აისახება მოგება-ზარალზე.

უცხოური ვალუტის მონეტარული ნაშთების კონვერტირებისათვის გამოყენებული გაცვლითი კურსები არის შემდეგი:

	31 დეკემბერი 2024	1 იანვარი 2024
1 აშშ დოლარი/ ლარი	2.8068	2.6894
1 ევრო/ლარი	2.9306	2.9753

2. კომპანიის საოპერაციო გარემო

საქართველო გეოპოლიტიკურად რთულ რეგიონში მდებარეობს. რეგიონში მიმდინარე პროცესები მყისიერად აისახება ქვეყნის ეკონომიკაზე და გავლენას ახდენს ამ გარემოში ფუნქციონირებადი კომპანიების ფინანსურ მაჩვენებლებზე.

ამასთანავე, ქვეყანაში მიმდინარე ხშირი საგადასახადო თუ საკანონმდებლო ცვლილებები კომპანიებისთვის დამატებითი გამოწვევაა, თუმცა ხშირ შემთხვევაში ცვლილებების მიზნობრიობა და აუცილებლობა გაცნობიერებულია და მიღებული მათ მიერ.

მოცემული გარემოებების გათვალისწინებით კომპანიის საოპერაციო გარემო მეტნაკლებად სტაბილურია და საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპი ამ ეტაპისთვის ცვლილებას არ საჭიროებს.



შპს „კუბიქსი“

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

3. მომზადების საფუძვლები და სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები

მომზადების საფუძვლები

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების სტანდარტის (მსს ფასს) შესაბამისად. იგი წარმოდგენილია ქართულ ლარში, რომელიც წარმოადგენს კომპანიის სამუშაო ვალუტას. მსს ფასს სტანდარტის მიხედვით ფინანსური ანგარიშგების წარდგენა მოითხოვს სამეურნეო ოპერაციებისათვის და მოვლენებისათვის სააღრიცხვო პოლიტიკის შერჩევასა და თანმიმდევრულ გამოყენებას. კომპანიის მიერ წარდგენილი ფინანსური ანგარიშგება მოიცავს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებებს 2024 წლის დასაწყისისთვის და დასასრულისთვის, 2024 წლის სრული შემოსავლის და საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებას, შესაბამის განმარტებით შენიშვნებს.

აღნიშნული ფინანსური ანგარიშგებები მომზადებულია საერთაშორისო საბუღალტრო სტანდარტების საბჭოს (IASB) მიერ გამოქვეყნებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია მცირე და საშუალო საწარმოებისთვის ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით (მსს ფასს).

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე. ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ქართულ ლარში და ყველა ღირებულება დამრგვალებულია უახლოეს ათასამდე, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც სხვაგვარად არის მითითებული.

ფუნქციონირებადი საწარმო

წინასწარი ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია მენეჯმენტის მიერ ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვებაზე. მენეჯმენტის შეფასებით, კომპანია გააგრძელებს ფუნქციონირებად საწარმოდ საქმიანობას, რეალიზებას გაუკეთებს აქტივებს და დაფარავს ვალდებულებებს ჩვეულებრივი სამეურნეოსაქმიანობის პროცესში.

მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა

ფული და ფულის ექვივალენტები

ფული და ფულის ექვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს და ფულს ბანკში და ატარებს ღირებულების ცვლილების უმნიშვნელო რისკს. ფულადი საშუალებები აღირიცხება ამორტიზირებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით. შეზღუდული ნაშთები გამოირიცხება ფულადი საშუალებებისგან ფულადი ნაკადების ანგარიშგების მიზნებისთვის. შეზღუდული ნაშთები რომელთა გამოყენება არ შეიძლება 12 თვის განმავლობაში ვალდებულებების დასაფარად ან სხვა გაცვლითი ტრანზაქციებში გამოყენებისაგან აღიარდება ბალანსზე როგორც სხვა გრძელვადიანი აქტივები.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები თავდაპირველად აღიარდება გარიგების ფასით. შემდგომ ხდება მათი შეფასება ამორტიზირებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით, გამოკლებული გაუფასურების რეზერვი. გაუფასურების რეზერვი იქმნება მაშინ, როდესაც არსებობს



შპს „კუბიქსი“

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

საფუძველი, რომ კომპანია ვერ მიიღებს თავდაპირველი შეთანხმებით განსაზღვრულ შესაბამის თანხას.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები და არამატერიალური აქტივები აღირიცხება მათ თავდაპირველ თვითღირებულებას, დაკლებული დაგროვილი ცვეთა ან/და გაუფასურების ღირებულებით. ძირითადი საშუალების თვითღირებულება შედგება მშენებლობის ხარჯის ან შესყიდვის ფასისგან, მასთან დაკავშირებული იმპორტის გადასახადების, გამოუქვითავი გადასახადების და სხვა პირდაპირი ხარჯების ჩათვლით. ნებისმიერი სავაჭრო ფასდაკლება გამოაკლდება შეყიდვის ან მშენებლობის ფასს.

მცირე შეკეთება-განახლება აღიარდება მოგება/ზარალის ანგარიშგებაში მისი მოხდენისთანავე. ხარჯები დაკავშირებული ძირითადი საშუალებების მნიშვნელოვანი ნაწილის ან კომპონენტების ჩანაცვლებასთან კაპიტალიზირდება და ჩანაცვლებული ნაწილი ჩამოიწერება.

ყველა აქტივი წარმოდგენილია საწყისი ღირებულებით, გამოკლებული დაგროვილი ცვეთა და გაუფასურების ზარალი, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

აქტივის საბალანსო ღირებულება ჩამოიწერება მის აღდგენით ღირებულებამდე მაშინვე, თუ აქტივის საბალანსო ღირებულება აღემატება მის სავარაუდო აღდგენით ღირებულებას.

ძირითადი საშუალებების ჩამოწერა/რეალიზაციიდან მისაღები თანხების საბალანსო ღირებულებასთან შედარებით განსაზღვრული სარგებელი და ზარალი აღიარდება მოგება-ზარალში.

ცვეთა

კომპანია არ ფლობს მიწას. ცვეთა ძირითად საშუალებებზე გამოითვლება წრფივი მეთოდით.

ოფისის აღჭურვილობა-სასარგებლო გამოყენების ვადა 5წელი

ნარჩენი ღირებულება არის სავარაუდო ღირებულება, რასაც კომპანია მიიღებდა ამჟამად ძირითადი საშუალების გაყიდვიდან, გაყიდვის ხარჯების გამოკლებით. ძირითადი საშუალებების მომსახურების პერიოდი გადაიხდება ყოველწლიურად და იცვლება საჭიროების შემთხვევაში.

სესხები

სესხები თავდაპირველად აღიარდება გარიგების ფასით (ეს არის ბანკში გადასახდელი ფულის დისკონტირებული ღირებულება რომელიც შეიცავს გარიგების ხარჯსაც). სესხების შემდგომი შეფასება ხდება ამორტიზირებული ღირებულებით. საპროცენტო ხარჯი გამოითვლება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით და აღიარდება ფინანსურ ხარჯად.

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები



შპს „კუბიქსი“

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

სავაჭრო ვალდებულებების თავდაპირველი აღიარებისას ფასდება ტრანზაქციის ღირებულებით და შემდგომ პერიოდში ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით.

იჯარა

იმის განსაზღვრა თუ ხელშეკრულება არის (ან მოიცავს) იჯარას დაფუძნებულია შეთანხმების შინაარსზე. ხელშეკრულება არის, ან მოიცავს იჯარას თუ შეთანხმების შესრულება დაფუძნებულია სპეციფიური აქტივის (ან აქტივების) გამოყენების უფლებაზე, იმ შემთხვევაშიც კი როდესაც ეს აქტივები არ არის აშკარად განსაზღვრული ხელშეკრულების საფუძველზე.

კომპანია, როგორც მოიჯარე

საოპერაციო იჯარა განსხვავდება ფინანსურისაგან. საოპერაციო იჯარის გადახდები აღირიცხება შესაბამისი პერიოდის საოპერაციო ხარჯებად მოგება-ზარალის ანგარიშგებაში, წრფივი მეთოდით, იჯარის ვადის განმავლობაში.

მოგების გადასახადი

მოგების გადასახადი წარმოდგენილია საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ან დასკვნის თარიღისთვის ამოქმედებული კანონმდებლობის მიხედვით. მოგების გადასახადი წარმოადგენს მიმდინარე გადასახადს და აღიარდება მოგება ზარალის ანგარიშგებაში, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ის პირდაპირ აღიარებულია კაპიტალში, რადგანაც უკავშირდება ოპერაციებს, რომლებიც იმავე ან განსხვავებულ პერიოდში, ასევე პირდაპირ კაპიტალში აღიარდება.

მიმდინარე მოგების გადასახადი არის მიმდინარე ან გასული პერიოდის დასაბეგრი მოგების გადასახდელი ან ზარალის შესაბამისი მოგების გადასახადის აღდგენადი თანხა. იმ შემთხვევაში თუ ფინანსური ანგარიშგების გამოქვეყნება ხდება საგადასახადო დეკლარაციების ჩაბარებამდე, დასაბეგრი მოგება ან ზარალი ეფუძნება შეფასებებს. გადასახადები, მოგების გარდა, აღირიცხება ადამინისტრაციულ და სხვა საოპერაციო ხარჯებში.

გადავადებული საგადასახადო შემოსავალი აღარ არის შესაბამისი ფინანსურ ანგარიშგებისთვის განახლებული საგადასახადო კოდექსის გამო.

სასაქონლო მატერიალური ფასეულობები

მარაგების ღირებულება განისაზღვრება უმცირესით ხარჯსა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის. მარაგების ღირებულება განისაზღვრება საშუალო შეწონილი მეთოდით. ნეტო სარეალიზაციო ღირებულება განისაზღვრება ნორმალური ბიზნესის მიმდინარეობის პირობებში გასაყიდ ფასსა და დასრულებისა და გაყიდვის მოსალოდნელ ხარჯებს შორის სხვაობით. ყოველ ანგარიშგების დღეს, მარაგები შეფასებულია გაუფასურებისთვის. თუ მარაგები გაუფასურდა, მისი საბალანსო ღირებულება მცირდება მის გასაყიდ ფასს გამოკლებული მისი დასრულებისა და გაყიდვისათვის გამზადების ხარჯი. გაუფასურების ზარალი მაშინათვე აღიარდება მოგება-ზარალზე.

დივიდენდები

დივიდენდები აღირიცხება, როგორც ვალდებულება და აკლდება კაპიტალს იმ პერიოდში, როდესაც მოხდა მათი გამოცხადება და დამტკიცება. ნებისმიერი დივიდენდი, გამოცხადებული საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ და ფინანსური ანგარიშგების დამტკიცებამდე, გამჟღავნდება შემდგომი პერიოდის მოვლენების შენიშვნაში.



შპს „კუბიქსი“ ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

წინასწარ გადახდები

წინასწარი გადახდები აღიარდება თვითღირებულებას გამოკლებული გაუფასურების რეზერვით. წინასწარი გადახდა კლასიფიცირება გრძელვადიანად, როდესაც საქონელი ან მომსახურება, რომელიც სავარაუდოდ, მიღებული იქნება ერთი წლის შემდეგ, ან აღნიშნული წინასწარგადახდა უკავშირდება აქტივს, რომელიც თავდაპირველი აღიარებისას თავად კლასიფიცირებული იქნება გრძელვადიან აქტივად. აქტივების შესაძენად განხორციელებული წინასწარი გადახდები გადავა აქტივის საბალანსო ღირებულებაზე მაშინ, როდესაც კომპანია მიიღებს სრულ კონტროლს ამ აქტივზე და მოსალოდნელია ამ აქტივისგან მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება.

სხვა წინასწარი გადახდები ჩამოიწერება მოგება-ზარალზე, როდესაც ხდება წინასწარ გადახდებთან დაკავშირებული შესაბამისი საქონლის ან მომსახურების მიღება. თუ არსებობს რაიმე სახის ეჭვი, რომ ვერ მოხდება საქონლის, მომსახურების თუ ძირითადი საშუალების მიღება, რომლისთვისაც წინასწარ გადახდილია თანხა, ამ შემთხვევაში ხდება აღნიშნული წინასწარგადახდის ჩამოწერა მიმდინარე პერიოდის მოგება-ზარალზე.

პერსონალის ხარჯი და მასთან დაკავშირებული შენატანები

ხელფასები, შენატანები საქართველოს საპენსიო და სადაზღვეო სისტემაში, წლიური შვებულების და ავადმყოფობის ანაზღაურებები, ბონუსები და არა-ფულადი სარგებლები აღირიცხება იმ წელს, როდესაც მოხდება შესაბამისი სერვისის მიღება თანამშრომლების მიერ.

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო მსჯელობები, დაშვებები და შეფასებები

კომპანიის ფინანსური ანგარიშგებების მომზადება მოითხოვს მენეჯმენტის მხრიდან გარკვეული შეფასებების და დაშვებების გაკეთებას, რომელიც გავლენას ახდენს მოგების, ხარჯების, აქტივების და ვალდებულებების ღირებულებაზე და მათ შესაბამის შენიშვნებზე და პირობითი ვალდებულების შენიშვნაზე. უზუსტობამ აღნიშნულ შეფასებებში და დაშვებებში შესაძლოა გამოიწვიოს ისეთი შედეგი, რომელიც საჭიროს გახდის აქტივის საბალანსო ღირებულების მატერიალურ კორექტირებას ანგავლენას მოახდენს ვალდებულებაზე მომავალ პერიოდში.

საგადასახადო კანონმდებლობა

საქართველოს საგადასახადო კოდექსი და საბაჟო კანონმდებლობა ექვემდებარება განსხვავებულ ინტერპრეტაციებს.

ძირითადი საშუალებების გამოყენების ხანგრძლივობა

კომპანია აკეთებს ძირითადი საშუალებების გამოყენების ხანგრძლივობის შეფასებას, სხვადასხვა ფაქტორების გათვალისწინებით, როგორებიცაა: ტექნიკური ან კომერციული მოძველება, მოსალოდნელი წარმადობა, სიმძლავრე და ფიზიკური მდგომარეობა, რაც დამოკიდებულია ოპერაციულ ფაქტორებზე. მიუხედავად იმისა, რომ ხელმძღვანელობა ცდილობს მაქსიმალურად ზუსტად შეაფასოს ძირითადი საშუალებით გამოსახული მომავალი ეკონომიკური სარგებლის მოხმარების მოდელი, ის შეიძლება მნიშვნელოვნად განსხვავდებოდეს რეალური შედეგებისგან, რამაც შესაძლოა მატერიალური გავლენა იქონიოს ფინანსურ ანგარიშგებებში წარმოდგენილ მონაცემებზე.

სამშენებლო კონტრაქტის შესრულების პროცენტის შეფასება



შპს „კუბიქსი“

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

კომპანია აღიარებს შემოსავალს სამშენებლო კონტრაქტების შესრულების პროცენტის მეთოდით, რომელიც განისაზღვრება საანგარიშგებო პერიოდამდე კონტრაქტზე გაწეული ხარჯის, მთლიანი კონტრაქტის განსაზღვრული ხარჯის წილის შესაბამისად და როდესაც ანაზღაურების მიღება საიმედოდ უზრუნველყოფილია. იმ შემთხვევაში, თუ კომპანია ჩათვლის, რომ ოპერაცია ვერ აკმაყოფილებს აღიარების კრიტერიუმს, შემოსავლის აღიარება გადაიდება პირობის შესრულებამდე.

შესრულების პროცენტის მეთოდი განისაზღვრება მენეჯმენტის მიერ შემდეგი ფაქტორების გათვალისწინებით: ა) შესაძლებელია მთლიანი კონტრაქტის ღირებულების საიმედოდ შეფასება; ბ) სავარაუდოა, რომ კონტრაქტთან დაკავშირებული ეკონომიკური სარგებელი შემოვა კომპანიაში; ც) შესაძლებელია როგორც კონტრაქტის მთლიანი დანახარჯის, ასევე კონტრაქტის დასრულების ეტაპის პერიოდის ბოლოს საიმედოდ შეფასება; დ) შესაძლებელია კონტრაქტის ხარჯის გარკვევით იდენტიფიცირება და კონტრაქტზე მიკუთვნება, ისე რომ შესაძლებელი იყოს რეალური კონტრაქტზე გაწეული ხარჯების შედარება წინა შეფასებებთან.

5. სააღრიცხვო პოლიტიკის ცვლილება

ცვლილებები სააღრიცხვო პოლიტიკაში არ გამოვლენილა. შესადარი ინფორმაცია დარჩა უცვლელი წინა სააღრიცხვო პერიოდის შემდგომ.



შპს „კუბიქსი“
ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

6. ძირითადი საშუალებები

	შენიშვნა	ოფისის აღჭურვილობა	არამატერიალური აქტივი	სულ
1 იანვარი 2024	-	-	72	72
შემოსვლა	-	-	-	-
გასვლა	-	-	-	-
31 დეკემბერი 2024	-	-	72	72
ცვეთა და გაუფასურება				
1 იანვარი 2024	-	-	-	-
პერიოდის ცვეთა	-	-	(51)	(51)
გასვლა	-	-	-	-
31 დეკემბერი 2024	-	-	21	21
წმინდა საბალანსო ღირებულება				
1 იანვარი 2024	-	-	72	72
31 დეკემბერი 2024	-	-	21	21



შპს „კუბიქსი“
ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

7. მარაგები

მარაგები	31/12/2024
ნედლეული და მასალები	7.890.778
დაუმთავრებელი წარმოება	5.681.086
სულ სასაქონლო მატერიალური მარაგი	13.571.864

8. სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	31/12/2024
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	30.571.842
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	30.571.842

9. ფული და ფულთან გათანაბრებული ინსტრუმენტები

ფული და ფულის ექვივალენტები	31/12/2024
თანხა საბანკო ანგარიშებზე	1.963
თანხა სალაროში	-
სულ ფული და ფულის ექვივალენტები	1.963

10. სესხები

კომპანიას არ ერიცხება 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით სასესხო ვალდებულება

11. სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	31/12/2024
სავაჭრო ვალდებულებები	4.685.429
სახელფასო ვალდებულებები	-
სულ სავაჭრო და სხვა ვალდებულება	4.685.429

აღნიშნული ვალდებულებების ვადები და პირობები:

- სავაჭრო ვალდებულებებს არ ერიცხებათ პროცენტი და მათი დაფარვა ხდება ეტაპობრივად
- გადასახდელ ხელფასებსა და სხვა ვალდებულებებს არ ერიცხებათ პროცენტები და ჩვეულებრივ მათი დაფარვა ხდება 1 თვის ვადაში.



შპს „კუბიქსი“
ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

12. ამონაგები

ამონაგები	2024
ამონაგები	12.584.666
სულ შემოსავალი	12.584.666

13. თვითღირებულების ხარჯი

თვითღირებულების ხარჯი	2024
ნედლეულისა და მომსახურების ღირებულება	(7.620.898)
სულ თვითღირებულება	(7.620.898)

14. ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები

საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	2024
-----------------------------------	------

ცვეთა და ამორტიზაცია

	(51)
სხვა ხარჯები	(58.825)
სულ საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	(58.876)

16. ფინანსური ხარჯი

ფინანსური ხარჯი	31/12/2024
საპროცენტო ხარჯი	-
სულ საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	-

17. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ ადგილი არ ჰქონია ისეთ მოვლენებს, რომლებიც მოითხოვს განმარტებით შენიშვნებს.

18. დაკავშირებულ მხარეთა ოპერაციები

დირექტორებსა და უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობაზე გაცემული ანაზღაურება

	2024
დირექტორის შრომის ანაზღაურება	16.505
სულ	16.505



შპს „კუბიქსი“
ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

19. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

აღნიშნული ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და გამოსაცემად ნებადართულია მფლობელის მიერ 2025 წლის 29 სექტემბერს.

ა. მუსიძე

